ვქმნით ხარისხს!

2024

# სასტუმროები და კოტეჯები

+995 557 33 11 33
sales@legi.ge
www.legi.ge



## ფილები

გამძლეობა,
ეფექტურობა,მრავალფეროვნება

## დიზაინი

დახვეწილი დიზაინის შექმნა
ექსტერიერის ელემენტებით

## პრესტიჟული ექსტერიერი

შექმენით პრემიუმ ექსტერიერი
თქვენი მომხმარებლებისთვის



# კომპანიის ისტორია

ჩვენი ისტორია 13 -ზე მეტი წლის წინ მკაფიო მისიით დაიწყო: გვეწარმოებინა საერთაშორისო ხარისხის უმაღლეს სტანდარტებზე მორგებული ბეტონის ნაკეთობები. მიზნად დავისახეთ, საქართველოში შემოგვეტანა ისეთი წარმოება, რომელიც ადგილობრივი ბაზრისთვის ჯერ უცხო იყო, თუმცა ბოლო 30 წლის განმავლობაში ევროპაში უკვე დიდი პოპულარობით სარგებლობდა. ამ მიზნის განსახორციელებლად საგულდაგულოდ შევარჩიეთ უახლესი გერმანული მანქანა - დანადგარები, კვალიფიციური თანამშრომლები და დავიწყეთ ბიზნეს პროცესების წარმართვა. ჩვენი წარმოება მომხმარებელთა ნებისმიერ კატეგორიასა და მოთხოვნას აკმაყოფილებს. განსაკუთრებით მოხარული ვართ, რომ წვლილი შეგვაქვს ტურიზმის განვითარებაში სასტუმროების/კოტეჯების სივრცის სრულყოფით. უმაღლესი ტექნოლოგიით აღჭურვილი ორი ქარხნით, აკრედიტებული ლაბორატორიისა და ბუნებრივი გზით მოპოვებული ნედლეულის კომპლექსით უკონკურენტონი ვართ ქართულ ბაზარზე.

ბაზარზე ოპერირების განმავლობაში, დავაგეთ 3 მილიონ მ2-ზე მეტი ფილა და რაც მთავარია, მნიშვნელოვნად გავზარდეთ როგორც მომხმარებელთა, ასევე გაყიდვების რაოდენობა. ამასთანავე, ჩვენ ვაგრძელებთ ახალი ობიექტების გაფართოებასა და ინდუსტრიაში ლიდერული პოზიციის გაძლიერებას.

ჩვენი მისია მკაფიოა: ვაწარმოოთ ბეტონის უნიკალური პროდუქცია და დავაკმაყოფილოთ მომხმარებელთა საჭიროებები. ამ მიზნით შევქმენით სრულიად ავტომატიზებული პროცესი, რომელიც მოიცავს დოზირებას, შერევას, ფორმის მიცემას, გადმოტვირთვასა და დატვირთვას. ჩვენი უახლესი გერმანული ტექნოლოგია და პროფესიონალებით დაკომპლექტებული გუნდი გვეხმარება, რომ მუდმივად ვაკმაყოფილებდეთ უმაღლეს სტანდარტებს და თითოეული წარმოებული პროდუქტი აჭარბებდეს მომხმარებლის მოლოდინებს.



ლეგი ამაყობს, რომ ზრდასა და განვითარებასთან ერთად საქართველოს სტუმარმასპინძლობისა და ტურისტულ მიმართულებას ახალ ტექნოლოგიებს აცნობს: ტრადიციული ბეტონისა და ასფალტის მაგიერ, მომხმარებლებს ბეტონის ინოვაციური ფილებით მოპირკეთებას ვთავაზობთ. Legi-ს მიერ წარმოებული ბეტონის ფილები გამძლეობისა და ხარისხის მაღალი მაჩვენებლით გამოირჩევა ევროპის, ამერიკისა და შუა აღმოსავლეთის ზონაში. ამ მიდგომით კიდევ ერთხელ ვადასტურებთ ყველას წინაშე აღებულ პასუხისმგებლობას - თითოეულ მომხმარებელს შევთავაზოთ საერთაშორისო სტანდარტის პროდუქტი და დახვეწილი ინფრასტრუქტურა.

მადლობა, რომ გვენდეთ და გახდით ჩვენი ისტორიის ნაწილი. ვიმედოვნებთ, რომ განვაგრძობთ თქვენთან თანამშრომლობას და ისევ შემოგთავაზებთ უმაღლესი ხარისხის პროდუქტსა და ინოვაციურ მიდგომებს.



# ჩვენი მისია

ვაწარმოოთ ეფექტური, გამძლე და ეკო - მეგობრული მოსაპირკეთებელი მასალა, რომელიც კომპლექსურ გამოყენებასა და ცვალებად ამინდს ზედმეტი მოვლისა და ძალისხმევის გარეშე უძლებს

ექსტერიერი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია, რომელსაც შეუძლია ადამიანის განწყობის უკეთესობისკენ შეცვლა: განსაკუთრებით იმ შემთხვევაში თუ ზრუნავთ სტუმრების კეთილგანწყობის მოპოვებაზე, გსურთ სასიამოვნო ემოციები დაუტოვოთ მათ და ამ კუთხით გააძლიეროთ თქვენს ბიზნესში ჩადებული ინვესტიცია. გარე სივრცე არ მოიცავს მხოლოდ წინა ეზოს ან მოსასველენებელ ადგილს: აუზი, კოცონი, გასართობი სივრცე, უკანა ბაღი, პარკირების სივრცე და კიდევ ბევრი დეტალი, რომელიც გარემოს სრულყოფილ სახეს სძენს. ლეგის შეუძლია თქვენი გემოვნების მიხედვით ყველა ზემოთ ჩამოთვლილი რეალობად აქციოს.

ჩვენ გათავისებული გვაქვს, რომ მომხმარებლები პროდუქციის შერჩევისას შესაძლოა გარკვეულ წინაღობას წააწყდნენ, ამიტომ ჩვენი გუნდი ყველანაირად ცდილობს თითოეულ საკითხს მიუდგეს ინდივიდუალურად და დაეხმაროს არჩევანის გაკეთებაში, შესთავაზოს ისეთი ფილები ან დიზაინის ელემენტები, რომლებიც მათ გემოვნებას ერგება.

ინოვაცია და კრეატიულობა: ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა აქვს მუდმივ პროგრესს და სიახლეების შეთავაზებას. გარდა ფილების ნაირსახეობისა, გვაქვს დეკორატიული ელემენტების მრავალფეროვნებაც: დეკორატიული ბორძი, საფეხურები, აგური, ბლოკი, რომლებიც განკუთვნილია მულტიფუნქციური სივრცეებისთვის სრულყოფილი დიზაინის შესაქმნელად. ეს ყოველივე გარე სივრცეს უფრო ფუნქციურს ხდის და თქვენი ბიზნესის ღირებულება იზრდება.



ჩვენი მისიიდან გამომდინარე, კომპანიისთვის მნიშვნელოვანია, რომ მომხმარებელს შევთავაზოთ მდგრადი, ხარისხიანი პროდუქცია, რომელიც იქნება ხელმისაწვდომი და გრძელვადიან პერიოდში მომგებიანი გადაწყვეტილება. გარდა ამ ფაქტორებისა, ლეგი გთავაზობთ მრავალფეროვან არჩევანს, რათა თქვენი კოტეჯების, სასტუმროების ან სახლის გარე სივრცეები ისეთივე დახვეწილი იყოს, როგორც ინტერიერი.

რატომ უნდა ავირჩიოთ?

# მოსაპირკეთებელი ფილები

ლეგის ბეტონის პროდუქტი სასტუმროსა და კოტეჯების გარე სივრცეებს აძლევს დახვეწილ და მიმზიდველ ვიზუალს, ასევე შესაძლებელია ერთი ტერიტორიის სხვადასხვა ფუნქციურ ზონებად დაყოფა და განსხვავებული იერსახის მიცემა,  რაც  სტუმრებს დადებით შთაბეჭდილებას უტოვებს და მათ კმაყოფილებაზეც აისახება. გარდა ამისა, ფილები ცვეთის მიმართ მდგრადია, პრაქტიკულია და რაც მთავარია, ის სივრცეს ხდის უფრო  კომფორტულს. და ბოლოს გაძლევთ საშუალებას თქვენი ბიზნესი გაზრდილი ღირებულებით გახდეს უფრო მომგებიანი.

**მრავალფეროვანი**

ლეგი აწარმოებს სხვადასხვა ფორმის, ზომისა და  ფერის ბეტონის პროდუქციას. ფილები პრესტიჟული, თანამედროვე და სტანდარტული საშუალებებისგან განსხვავებით დახვეწილია.

**მდგრადი**

ლეგის ბეტონის პროდუქტი მზადდება EN:1338 უმაღლესი ევროპული სტანდარტით, რის გამოც გამოირჩევა მაღალი გამძლეობით და ხარისხით.

**ეკო - მეგობრული**

ფილები ხასიათდება გამტარუნარინობით, იძლევა შესაძლებლობას, რომ წვიმის დროს წყალი შეიწოვოს და გარემოზე  ზემოქმედება მაქსიმალურად შეამციროს.

**პრესტიჟულობა**

თქვენი მომხმარებლებისთვის პრესტიჟული გარემოს შექმნა ლეგის ფილებით მარტივად შეგიძლიათ. თუ პრიორიტეტი პრემიუმ ხარისხის ექსტერიერია, მაშინ არჩევანი ბეტონის საფარის ნაცვლად ჩვენს ფილებზე უნდა შეაჩეროთ.

**მომგებიანი**

მიმზიდველი ვიზუალი,  მოვლის  მინიმალური ხარჯები და საუკეთესო ხარისხი ხარჯთეფექტურ არჩევანად ითვლება გრძელვადიან  პერსპექტივაში



ლეგი აწარმოებს სხვადასხვა ფორმის, ზომისა და  ფერის ფილებს, ბლოკებსა და დეკორატიულ ელემენტებს. იმის მიხედვით თუ როგორი ვიზუალია თქვენთვის პრიორიტეტი: ტრადიციული იერსახით, თანამედროვე დეტალებით, უფრო მხიარული თუ უბრალოდ მრავალფეროვანი, შეგილიათ ფილების სასურველი კომბინაციით შექმნათ სხვადასხვა დიზაინის ფუნქციური სივრცეები და  ამავდროულად შეინარჩუნოთ სიმწვანესთან შერწყმული ბუნებრივი მიმზიდველობა. გარდა ამისა, ფილები ინტენსიურადაა გამოყენებული კურორტებზე, აგარაკებსა და პრესტიჟულ უბნებში, რადგან სასიამოვნო ვიზუალს სძენს სივრცეებს და უფრო მიმზიდველია დამსვენებელთათვის.

წარმოების პროცესში ჩვენ ვითვალისწინებთ გარემოს დაცვის ფაქტორსაც. ფილები წარმოადგენს გამტარ საფარს. იძლევა შესაძლებლობას, რომ წვიმების დროს წყალი შეიწოვოს,  ჩამონადენი შეამციროს და გარემოზე მინიმალურად იმოქმედოს.  წორედ ამის გამო კოტეჯებისა და სასტუმროების მფლობელები მათი გამოყენებით ბევრ პრობლემას ირიდებენ თავიდან.

ასევე, ლეგის პროდუქტი მინიმალურ მოვლას საჭიროებს. საკმარისია მხოლოდ წყლითა და ეზოს ჯაგრისით გადარეცხვა, რათა ზედაპირზე არსებული მტვერი გადარიდდეს. ასევე შესაძლებელია დაზიანებული ფილის ინდივიდუალურად ჩანაცვლება რეკონსტრუქციული ჩარევის გარეშე. შესაბამისად არ საჭიროებს მთლიანი მონაკვეთის შეკეთებას ან გამოცვლას.

ლეგის ბეტონის პროდუქტი მზადდება EN:1338 უმაღლესი ევროპული სტანდარტით. წარმოების პროცესში დაცულია საჭირო ზომები, შეფასებულია ქმედებები და ტესტირების პროცესები, რის გამოც გამოირჩევა მაღალი გამძლეობით და ხარისხით.

სასტუმროსა და კოტეჯების მფლობელებს სივრცის ფილებითა და დიზაინის ელემენტებით მოპირკეთება სასიამოვნო გარემოს შექმნაში ეხმარება და კონკურენტუნარიანს ხდის. ვინაიდან, შექმნილი მიმზიდველი ვიზუალი,  მოვლის  მინიმალური ხარჯები და საუკეთესო ხარისხი, ხარჯთეფექტურ არჩევანად ითვლება გრძელვადიან  პერსპექტივაში. გარდა ამისა, დადებითი შთაბეჭდილებები კომერციულ საკუთრებას უფრო ღირებულს ხდის დამსვენებელთათვის.



გარდა იმისა, რომ ფილის საფარის დაგება პრაქტიკული და სწორი არჩევანია თქვენი ბიზნესის მიმზიდველობის გასაზრდელად, ასევე არ უნდა დაგავიწყდეთ სხვადასხვა ფუნქციური სივრცის მოწყობა დიზაინის ელემენტების გამოყენებით. დეკორატიული კედელი, საფეხურები – არა მხოლოდ აძლიერებს ესთეტიკურ მიმზიდველობას, არამედ პოზიტიურად აისახება სტუმრების განწყობაზე და ტოვებს

# ექსტერიერის ელემენტები

## სრულყოფილი სივრცისთვის





ზოგჯერ სასტუმროს წინა/უკანა ეზო, ასევე ერთ სივრცეში არსებული კოტეჯები ერთმანეთისგან განცალკევებულია.ამ კონტრასტის აღსაქმელად ხშირად გამოიყენება დეკორატიული საფეხურები, რაც იდეალური საშუალებაა ორი სხვადასხვა განზომილების ერთმანეთისგან გამოყოფისა და ამავდროულად დაკავშირებისთვის.

რა თქმა უნდა, იმისათვის რომ თქვენმა დახვეწილმა ექსტერიერმა სრულყოფილი სახე მიიღოს, საჭიროა გარემოზე მორგებული ღობის შერჩევა, რომელიც იდეალურად შეერწყმება შერჩეულ დიზაინს და შექმნის სასურველ კომბინაციას.კედლისა თუ ტიხრების ამოსაყვანად შეგიძლიათ, გამოიყენოთ ლეგის სხვადასხვა ფერის დეკორატიული ბლოკები და აგურები, რომლებიც თქვენს სივრცეს უფრო უსაფრთხოს გახდის, გარემოს გაამოაცოცხლებს, სივრცეს შეკრავს და გაგრძნობინებთ ჰარმონიას.

"სასტუმროს/ კოტეჯის სივრცე უნდა წარმოადგენდეს დახვეწილობისა და კომფორტის შერწყმას, სადაც ყველა დეტალი გათვალისწინებულია სტუმრების დაუვიწყარი გამოცდილების შესაქმნელად"

*იან შრაგერ*





### რატომ ავირჩიოთ?

# ლეგი

ლეგის  ფილები გთავაზობთ უამრავ სარგებელს, რაც კომპანიის მრავალწლიანი გამოცდილების, ხარისხის ზედმიწევნითი კონტროლისა და უახლესი ტექნოლოგიების გამოყენებას ეყრდნობა.

ლეგის  13 წლის განმავლობაში მიღებული გამოცდილება  სხვა კონკურენტებისგან გამოარჩევს. ამ პერიოდის განმავლობაში, ლეგი-მ მნიშვნელოვნად დახვეწა პრაქტიკა, ტექნოლოგიები და სერვისები. პარალელურად  თითოეული პროექტისგან შეიძინა გამოცდილება და გააუმჯობესა საქმისადმი მიდგომები. ლეგის მრავალწლიანი გამოცდილება მის სანდოობაში, ეფექტურობასა და   უმაღლესი ხარისხის პროდუქციის წარმოებაში გამოიხატება.

ლეგის უმაღლესი ხარისხის გერმანული აღჭურვილობა, რომელიც სექტორის უპირობო ლიდერია - უზრუნველყოფს წარმოების პროცესის ეფექტურობას, სიზუსტესა და თანმიმდევრულობას. ამგვარად მოწინავე ტექნიკის გამოყენება არა მხოლოდ აუმჯობესებს  ფილების გამძლეობას, არამედ უზრუნველყოფს   დიდი შეკვეთების დროულად და ხარისხიანად მომზადებას.

ხარისხის კონტროლი ნებისმიერ ინდუსტრიულ პროცესში გადამწყვეტი ასპექტია, რასაც ჩვენი კომპანია სრულყოფილად იაზრებს. ლეგი ფლობს სერტიფიცირებულ ლაბორატორიას, რომელიც თითოეულ წარმოებულ პროდუქციას მკაცრ კონტროლს უწევს.

ლეგის  პროდუქციის არჩევის ერთ-ერთ სარგებელს კომპანიის ვერტიკალური ინტეგრაციის მოდელი წარმოადგენს. ქვის დამშლელი ჩარხის მეშვეობით, ლეგი თავად უზრუნველყოფს საჭირო ნედლეულის წარმოებას, რაც ფილების დამზადების პროცესში ერთ-ერთი მთავარი კომპონენტია. ამგვარი კონტროლი ხელს უწყობს ხარისხს და მიწოდების ხარჯების სწორად განაწილებას.

### აღჭურვილობა

წამყვანი გერმანული ტექნიკის დახმარებით, იწარმოება უმაღლესი ხარისხის ბეტონის პროდუქცია.

### ლაბორატორია

ლეგის სერტიფიცირებული ლაბორატორია უზრუნველყოფს ხარისხის კონტროლს ევროპული სტანდარტებით  (EN 1338).

### ვერტიკალური ინტეგრაცია

თითოეული პროდუქტი კონტროლდება მკაცრად, ადგილობრივად იწარმოება საჭირო ნედლეული და ზედმიწევნით ხდება მომწოდებელთა შერჩევა.

### გამოცდილება

ინდუსტრიული ობიექტებისთვის მაღალი ხარისხის ფილების დამზადების 15-წლიანი გამოცდილება.

# გაყიდვები

ჩვენს გუნდი აცნობიერებს, რომ თითოეულ მომხმარებელს უნიკალური მოთხოვნილებები აქვს: მათი გემოვნებიდან, საჭიროებებიდან და მოთხოვნილებებიდან გამომდინარე გაყიდვების მენეჯერები თითოეულ მომხმარებელს  განურჩევლად ადგილმდებარეობისა თუ  კომპლექსურობისა  ინდივიდუალურ და პროფესიონალურ კონსულტაციას უწევენ საფუძვლიან ცოდნასა და მრავალწლიან გამოცდილებაზე დაყრდნობით.  ჩვენ მზად ვართ, ინდივიდუალურად ვფოკუსირდეთ თქვენს საჭიროებებზე, გავიგოთ თქვენი ხედვა და შემოგთავაზოთ მორგებული პროდუქცია. გარდა ამისა, ჩვენთვის პრიორიტეტია მინიმუმამდე დავიყვანოთ შეფერხებების ალბათობა  და ჩამოვაყალიბოთ გრძელვადიანი, ნდობაზე დამყარებული ურთიერთობები.




#### ინიცირება

საწყისი ეტაპი მოიცავს  მომხმარებლებთან ინფორმაციის გაცვლას, რის შემდეგაც ჩვენი გაყიდვების მენეჯერები მომხმარებლებს უზიარებენ საკონტაქტო ინფორმაციას და ათანხმებენ შეხვედრას, რათა საჭირო დეტალები დააზუსტონ.

#### შეფასება

ამ ეტაპზე გაყიდვების მენეჯერი პირველ რიგში დეტალურად აანალიზებს ობიექტის მოთხოვნებს. ხოლო შემდეგ მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით  წინასწარ ადგენს ფინანსურ ანალიზს, რომელიც არსებული ასპექტების გათვალისწინებით მოიცავს ყველა შესაძლო ხარჯს.

#### საბოლოო კომუნიკაცია

მომხმარებელს ვიწვევთ ოფისში, სადაც დეტალურად განვიხილავთ პროექტის საბოლოო დეტალებს, კიდევ ერთხელ ვაზუსტებთ შეკვეთის მოცულობას, ვთანხმდებით ხარჯებზე და ორივე მხარე ვადასტურებთ.

#### შეკვეთა

მიღებული შეკვეთის მიხედვით ვიწყებთ პროდუქტის წარმოებას. მაქსიმალურად ვფოკუსირდებით ხარისხის, დროული მიწოდებისა და სპეციფიკური მოთხოვნების კონტროლზე.

### EN:1338

EN:1338 არის ევროპული სტანდარტი, რომელიც აერთიანებს ბეტონის მოსაპირკეთებელი ფილების წარმოების სპეციფიკურ მახასიათებლებს, საჭირო ზომებს, ქმედების დონეს, ტესტირების მეთოდებსა და მარკირების პროცედურებს.

## გაყიდვების შემდგომი მხარდაჭერა

მყისიერი დახმარების გაწევა შეუძლია ჩვენი სერვისის ჯგუფს, რომელიც ყოველთვის მზად არის ნებისმიერ დროს მოუსმინოს მომხმარებელს და მოაგვაროს პროდუქტთან თუ სერვისთან დაკავშირებული პრობლემა. გაყიდვების მხარდაჭერა, ხელს უწყობს მომხმარებლებთან გრძელვადიანი ურთიერთობების ჩამოყალიბებას და აძლიერებს კომპანიის რეპუტაციას  ბაზარზე.



# ᲒᲐᲐᲪᲝᲪᲮᲚᲔ ᲘᲓᲔᲔᲑᲘ

შემდეგ გვერდებზე გაეცნობით ზოგიერთ ჩვენს პროექტს, რომელიც ლეგის ფილებით მოპირკეთდა. ეს სურათები შექმნილია იმისათვის, რომ შთაგაგონოთ და მოგაწოდოთ იდეები. განსაკუთრებით იმ შემთხვევაში თუ ვერ იღებთ გადაწყვეტილებას როგორი დიზაინი ან რომელი ფერის თუ ფორმის ფილა შეარჩიოთ.





TELEPHONE
TELEPHONE







მიქსი

იხილეთ დეტალურად


ᲛᲝᲓᲔᲠᲜᲘ
ᲘᲮᲘᲚᲔᲗ ᲓᲔᲢᲐᲚᲣᲠᲐᲓ











ლეგ - ისი

იხილეთ დეტალურად











მიქსი

იხილეთ დეტალურად


ახალი ქალაქი
იხილეთ დეტალურად










საფასადე ბლოკი
იხილეთ დეტალურად





აგური

იხილეთ დეტალურად

















ჰარმონია
იხილეთ დეტალურად











# ლანდშაფტის დიზაინი

**ყველაფერი წინასწარ დაგეგმილი უფრო მიმზიდველი და დახვეწილია. ლანდშაფტის დიზაინი დაგეხმარებათ თქვენი იდეები გადმოიტანოთ რეალობაში და შექმნათ სრულყოფილი, თქვენს გემოვნებაზე მორგებული სივრცე.**






ჩვენთვის ცნობილია, რომ გამოყენებული პროდუქტის ხარისხი მომხმარებლისთვის მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს, მაგრამ ასევე გადამწყვეტია, შერჩეული ელემენტებით დახვეწილი ექსტერიერის დიზაინის შექმნა. განსაკუთრებით სასტუმროებისა და კოტეჯების, გარე სივრცეების მოპირკეთებისას, სადაც პრიორიტეტია მფლობელის მაღალი სტანდარტების დაკმაყოფილება და მომხმარებლის კეთილგანწყობა.

ლეგი მომხმარებლებს უადვილებს გადაწყვეტილების მიღებას და ეხმარება საუკეთესო ალტერნატივის შერჩევაში ორი გზით. საწყის ეტაპზე გთავაზობთ ჩვენს დიზაინის ხელსაწყოს, რომლითაც შესაძლებელია წინასწარ თავად ნახოთ თუ როგორი იქნება თქვენი სივრცე მოპირკეთების შემდეგ. ეს ხელსაწყო დაგეხმარებათ ფილის ფორმისა და ფერის შერჩევაში, მაგრამ თუ გჭირდებათ რთული ან ორიგინალური კომბინაციის შექმნა, ჩვენი დიზაინერი სრულიად უფასოდ შემოგთავაზებთ 3D ვიზუალიზაციას, რომელსაც დეტალურად გაეცნობით შემდეგ გვერდზე.

ვიზუალიზაციის ფუნქციით სარგებლობისთვის დაასკანერეთ მარჯვნივ არსებული QR კოდი და მიჰყევით შემდეგ საფეხურებს:

- პირველ რიგში ჩვენი ვებ გვერდიდან აირჩიეთ “ვიზუალიზაციის” ფუნქცია და შემდეგ სასურველი ადგილი ფოტოს გადასაღებად.
- გადაიღეთ ეზო, ბილიკი ან ნებისმიერი გარე სივრცე რისი მოპირკეთებაც გსურთ. დარწმუნდით, რომ ფოტო გამოსადეგია.
- თქვენთვის საუკეთესოს ასარჩევად შემოთავაზებული ფილებისა და ფერების კომბინაციით სცადეთ სხვადასხვა დიზაინის შექმნა.

**შექმენი დიზაინი**

**იხილეთ დეტალურად**



## ლანდშაფტის დიზაინის არსი და ეტაპები

ლანდშაფტის დიზაინი გარე სივრცეების ესთეტიური და ფუნქციური მიზნებით მოწყობის პრაქტიკაა. იმისათვის, რომ ბაღი, ეზო თუ დასასვენებელი სივრცე მიმზიდველად გამოიყურებოდეს, ლადშაფრის დიზაინერი პროექტის დასასრულებლად მომხმარებელთან ერთად 3 ძირითად ეტაპს გადის.



### დაგეგმვა და ანალიზი

ფასდება ტერიტორია, დგინდება მომხმარებლის საჭიროებები და ზუსტდება პროექტის დეტალები

#### მოსალოდნელი შედეგი

მოსაპირკეთებელი და დეკორატიული ელემენტების გათვალისწინებით იქმნება პროექტის გეგმა

### ვიზუალიზაცია

კლიენტთან კომუნიკაციის პარალელურად იქმნება გეგმა: რაც გულისხმობს ყველა დეტალის 3D სიბრტყეზე განლაგებას და პროექტის ვიზუალიზაციას.

მას შემდეგ რაც მონახაზი შეთანხმდება მომხმარებელთან, იქმნება 3D ვიზუალიზაცია, რათა უფრო თვალსაჩინო იყოს საბოლოო მოსალოდნელი შედეგი.

#### მოსალოდნელი შედეგი

მომხმარებელი გაეცნობა და შეაფასებს მოსაპირკეთებელი სივრიცის 3D ვიზუალიზაციას.





### უკუკავშირი

დიზაინის შერჩევასთან დაკავშირებით მომხმარებელთან კომუნიკაცია გრძელდება მანამ, სანამ რომელიმე ვერსია არ იქნება დამაკმაყოფილებელი.

#### მოსალოდნელი შედეგი

მომხმარებლის თანხმობის საფუძველზე შეირჩევა საბოლოო პროექტი და მისი 3D ვიზუალიზაცია.










ქობულეთი: სოფელი ხუცუბანი
თბილისი: იალნოს ქუჩა 27
თერჯოლა: სოფელი ნახშირღელე

ტელეფონი +995 557 33 11 33

ელექტრონული ფოსტა Sales@legi.ge